საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი კომუნისტი

კვირა, 3 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 500 მან.

ფასი 10 მან.

№ 58 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 58

## საფრანგეთის ფლოტი საქართველოს დამოუკიდებლობას ემუქრება.

საფრანგეთის ბანკირების სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში შემოსვლას აპირებს. მისი დანიშნულებაა ზურგი გაუმაგროს მეფის გენერალს, ბარონ ვრანგელს რუსეთის მუშების და გლეხების წინააღმდეგ, აგრეთვე ყუმბარები დაუშინოს ზღვისპირა მდებარე ქალაქებს— ნიკოლაევს, ნოვოროსიისკს და სხ., და უმორჩილოს ამ ქალაქების მშრომელნი შავი რეაქციის მატარებელ გენერალს. მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდება საფრანგეთის გაცოფებულ მევახშეების ფლოტი—ის დაისადგურებს და ბრძანებლობას იწყებს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზედაც. ის მიადგება უწინდებურათ ბათუმს, ფოთს, სოხუმს, ის მიიღებს თავის გემებზე ყველა დენიკელთ, ყველა მთიელ კონტრ რევოლიუციონერთ, რომლებიც კიდევ დარჩენილან საქართველოში, და გადაიყვანს ვრანგელთან მისი შავი ლაშქრას გასაძლიერებლად. მოსალოდნელია, ამაზე შორსაც წავიდენ საფრანგეთის ადმირალები და მოითხოვონ სხვა სახის და ფორმის დახმარება—ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი მუშურ-გლეხური რუსეთის დამარცხების და განადგურების იმედის აჩრდილი მოეჩვენათ კიდევ ერთხელ საფრანგეთის გასისხლიანებულ ავაზაკებს და ისინი არ შედგებიან არაფრის წინაშე, თუ კი მედგარ წინააღმდეგობას არ გადაეჩეხებიან.

რას ფიქრობენ ამ დროს ქართველი მენშევიკები, რას ურჩევენ თავის მრევლს?

გადამთიელ ინგლისის მუშათა კლასმა სიტყვას საქმე მოაყოლა და „დახმარება-მოქმედების კომიტეტების" სახით გადაეღობა საკუთარ იმპერიალისტების ცდას იერიშებით მისულიყვენ რუსეთზე. ჩვენებურ მენშევიკების ხელში არა მარტო სახელმწიფოებრივი აპარატი, არამედ, მათი რწმუნებით მათ გავლენას ემორჩილება ყველა მუშები და გლეხები ე. ი. ხალხის დიდი უმრავლესობა. აპირებს თუ არა ეს „ხალხური" პარტია და თუ აპირებს—რა სახით წინააღმდეგობის გაწევას და საქართველოს დამოუკიდებლობის ნამდვილად დაცვას საფრანგეთის იმპერიალისტებისაგან? თუ ძველებურათ, ჩვენებურათ, არხეინათ განაგრძობენ ცქერას, როცა დენიკინელები და სხვა აქ თავმოყრილი კონტრრევოლიუციონერები იწყებენ საფრანგეთის გემებზე ასვლას და ვრანგელის ბანაკისაკენ გამგზავრებას? და ამავე დროს განაგრძობენ ფიცს, რომ ასეთი „მიუდგომლობა უფრო გვაახლოვებს ჩვენ რუსეთის მუშათა კლასთანო!

რუსეთის მუშების დამხმარე კომიტეტების შედგენა, ან ვრანგელის დამხმარე კომიტეტად გადაქცევა — ასე დგას საკითხი ქართველ მენშევიკების წინ.

ვნახოთ, შესძლებენ თუ არა ისინი, მოისურვებენ თუ არა ისინი „ნაცადი" გზის მიტოვებას და ვრანგელის და მის მომავლინებელ იმპერიალისტებისათვის ზურგის ჩვენებას.

## იაპონია და საბჭოთა რუსეთი

ტოკიოს „oriental ezonomist" იაპონელი დამოუკიდებელი ჟურნალი, რომელიც მხოლოდ ერთად ერთი სარგებლობს დიდი გავლენით იაპონიაში, ათავსებს სტატიების მთელ რიგს რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობაზე. არ იქნება ინტერეს მოკლებული, თუ რომ ამას გაეცნობა სოციალისტიც. საერთოდ ამ ჟურნალს არასოდეს არ გაულაშქრებია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ამ ჟურნალს არა ერთხელ მიუღია ენერგიული ზომები, რომ იაპონიის მთავრობას ეცნო საბჭოთა მთავრობა. მაგალითად 25 ივლისის ნომერში ამ ჟურნალმა მოათავსა ერთი სტატია ასეთი ენერგიული სათაურით: „იცანით ბოლშევიკური მთავრობა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთი უნდა აღსდგეს ახალი ცხოვრებისათვის"!

15 აგვისტოს ნომერში იყო მოთავსებული ასეთი სათაურით: „მოკავშირეთა ჯარები გადიან ვლადივასტოკიდან". ამ სტატიაში ჟურნალის რედაქცია კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა იაპონიის და შეერთებულ შტატების პოლიტიკას ციმბირის საკითხში. აქ ჟურნალი სვამდა შემდეგ კითხვას: „ვინ არიან ის რუსები, რომლებიც დიდის სიხარულით ღებულობენ დახმარებას მოკავშირეებისაგან"? 15 სექტემბრის ნომერში ჩვენ ვნახულობთ სტატიას ასეთი სათაურით: „დააბრუნეთ ჩვენი ჯარები ციმბირიდან"! ჟურნალს არასოდეს არ გაუმართლებია იაპონიის პოლიტიკა ციმბირის საქმეებში ჩარევის (ინტერვენციის) შესახებ. ის ყოველთვის იბრძოდა, რომ ეცნენ ლენინის მთავრობა. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მკითხველებისათვის არ იქნება ინტერეს მოკლებული, თუ რომ ისინი გაეცნობიან 5 აპრილის ნომერში მოთავსებულ სტატიის შინაარსს, რომელიც ასეთი სათაურით არის მოთავსებული: „ციმბირში იაპონიის არმიის განადგურება. ბოლშევიკებთან შეტაკების დროს მოკვდა 301 ჯარის კაცი, 158 კი დაიჭრა. ერთი ბატალიონი სულ მთლად განადგურებულია". ჩვენ მოგვყავს აქ ამ სტატიის მოკლე შინაარსი.

იაპონიის მცხოვრებლების ფართო წრეებში ძლიერდება მოძრაობა ინტერვენციის (სამხედრო ჩარევა) წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის კაცები ასობით იღუპებიან ციმბირის მინდორ-ველებზე. ჩვენმა პოლიტიკამ ციმბირის საკითხში სრული დამარცხება განიცადა. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ, რომ საჩქაროთ' იქნას გამოწვეული ციმბირიდან ჩვენი ჯარები. წინათ ჩვენ გვინდოდა დახმარება გაგვეწია ჩეხო სლოვაკებისათვის. როდესაც ამ მიზანს მივაღწიეთ, ჩვენი პოლიტიკა თავდასხმაზე გადვიდა. ამ პოლიტიკამ ახალი მიზანი დაისახა—ეს იყო ბოლშევიკების მთავრობის ჩამოგდება. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ეს არის რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა. საგარეო საქმეთა მინისტრ უშიდამ სთქვა პარლამენტში! „ჩვენმა ჯარებმა პირველი მათი დანიშნულება უკვე შეასრულეს, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია გამოვიწვიოთ (ციმბირიდან) ჩვენი არმია. მან წესრიგი და მშვიდობიანობა უნდა აღადგინოს დაკავებულ ოლქებში"-ო. რომელი ოლქები დაიკავა ჩვენმა ჯარმა? სამხედრო მინისტრი უპასუხებს ამ კითხვაზე: „ჩვენმა ჯარებმა დაამყარეს მშვიდობიანობა და იცავენ ოთხი ათასი ინგლისური მილის (სიგრძის ზომაა) სიგრძის ფრონტს. ამ ფრონტის ხაზის გასწვრივ და მის ახლო-მდებარე ადგილებში ჩვენი ჯარები მომავალშიც დაიცავენ მშვიდობიანობას. ჩვენი მიზანია—რუსეთის აღდგენა ომსკის მთავრობის საშუალებით. ომსკის მთავრობის მომხრეებს ჩვენ ზომიერებს ვუწოდებთ და მათი დახმარება ეხლანდელი დროში იქნება მშვიდობიანობის დაცვა. ამიტომ ყოველი წინააღმდეგობა, რაც ჩვენს ჯარს შეხვდება, ძალით იქნება მოსპობილიო".

ამრიგათ, ცხადია, რომ ჩვენი ციმბირის პოლიტიკა ნიშნავს ომსკის მთავრობისთვის სამხედრო დახმარებას. ვინც ამ მთავრობას (ომსკის) სცნობს, მათ უწოდებენ ზომიერებს და ვინც მისი წინააღმდეგია—ბოლშევიკებს. ამ შემთხვევაში ბოლშევიკების გარეკა ნიშნავს მშვიდობიანობის და წესრიგის დამყარებას. ყოველივე ამის მიუხედავათ, საგარეო საქმეთა მინისტრი გვიმტკიცებს, რომ ჩვენ არ ვერევით რუსეთის შინაურ პოლიტიკაშიო. ამავე დროს კი, ჩვენი არმიის დანიშნულებაა რუსეთის შინაურ პოლიტიკაში შეიარაღებული ჩარევა. ბრძოლას აწარმოებს 4000 მილის მანძილზე. მთელს ამ ფრონტის რაიონში მოსპობილია ყოველივე რუსული საშინაო პოლიტიკის ცხოვრების გამოხატულება. აქ არ არის არც ერთი ისეთი რუსი, რომელიც ჩვენ თავის მტრათ არ გვთვლიდეს და აღშფოთებით არ გვიცქერდეს ჩვენ. რა არის ყოველივე ეს, თუ არა რუსეთის შინაურ პოლიტიკაში ჩარევა.

ყოველ ქვეყნებში არის და ყოველთვის იყო მუდამ უკმაყოფილო ხალხი. და ის ზომიერები, რომლებზედაც ლაპარაკობს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, არიან ასეთი უკმაყოფილო ელემენტები, ვინაიდან რუსეთის მცხოვრებთა უმეტესობა ბოლშევიკები არიან. რამდენათ მეტ ხანს დარჩება ჩვენი არმია ციმბირში, იმდენათ საომარ განწყობილებაში იქნებიან ჩვენთან რუსები. ყველაზე უკეთესია ის, რომ რაც შეიძლება ჩქარა იქნას გამოწვეული ციმბირიდან ჩვენი არმია. როგორც კი ჩვენი არმია იქნება გამოწვეული ციმბირიდან, მაშინვე ომსკის მთავრობას ჩამოაგდებენ ბოლშევიკები. ჩვენი ჯარის კაცები ამ ინტერვეციის დროს იღუპებიან ტყვილა უბრალოთ, როგორც უსიტყვო ცხოველები. ამ საქმისთვის დახარჯული ფულები—ტყვილად, უსაქმოთ გადაყრილი ფულებია.

ჩვენ ძლიერ ვწუხვართ იმ ზარალზე, რომელიც ჩვენ მოგვივიდა ჩვენი შემცდარი პოლიტიკის გამო. მაგრამ თუ ჩვენ გამოვიწვევთ ჩვენს არმიას და ვიხსნით მას უაზრო მსხვერპლისაგან, ჩვენ ამით, შეიძლება, საზღვარი დაუდვათ რუსეთის მხრივ ჩვენდამი მტრულ დამოკიდებულებას. იაპონიის საუკეთესო ელემენტები ასე უყურებენ საქმეს.

ასათია ზემოთ აღნიშნულ სტატიის შინაარსი.

იაპონიის მთავრობის ამ ციმბირის პოლიტიკას მხარს უჭერენ ყველა მოკავშირე სახელმწიფოები, მათ შორის ამერიკაც. ეს არის ნიღაბ ჩამოხდილი ძალდატანების პოლიტიკა. ბატონ მოკავშირეთათვის რუსეთის ხალხი შესდგება მხოლოდ იმ ბურჟუაზიულ კლასისაგან, რომელიც ებრძვის ბოლშევიკებს და ცდილობს იმაზე, რომ მიყიდოს რუსეთი საზღვარ გარეთის კაპიტალისტებს. არსებობს ერთი ჩინური ანდაზა: „ხალხის მიერ ყბათ აღება ლითონსაც კი გაალხობსო." ეს სიტყვები იმას უჩვენებენ, თუ რამდენათ მძლე არის საზოგადოებრივი აზრი. მაგრამ ამის საწინააღმდეგოთ შეიძლება მეორე ანდაზის მოყვანაც: „და ბოლოს რწმენა მაინც იმარჯვებსო" იმისთვის, რომ გამოაყეყეჩონ საზოგადოება და შეიყვანონ ის შეცდომაში, ამ უკანასკნელ წელიწად ნახევრის განმავლობაში მთელი ქვეყნის ხალხებში ავრცელებდენ ათასნაირ ჭორებს და ლეგენდებს საბჭოთა რესპუბლიკის და საბჭოთა რუსეთში მომხდარ ამბების შესახებ. ყველა ამ გამოგონებულ ტყვილებს, რომელიც მოფიქრებულია კაპიტალისტების და მათი ლაქიების გაიძვერული გონების მიერ, რომელთაც ავრცელებენ ყოველ დღიურ გაზეთების რედაქტორები—ეს „სიმართლისათვის მებრძოლები" და „ქრისტეს მოძღვრების მიმდევრები," შეუძლია რამდენიმე ხნით შეიყვანოს შეცდომაში ზოგიერთები. ყველა ეს ტყუილები იმ სახლსა გავს, რომელიც აშენებულია სილაზე, ანდა ღრუბელს, რომელიც გადაეფარა მზეს: ისინი ჩქარა ინგრევიან და იფანტებიან სიმართლის წინაშე. მიუხედავათ ათასნაირი ჭორიკანობისა, სულ მალე მთელი კაცობრიობა სულით და გულით იგრძნობს და გაიგებს ყოველივე სიმართლეს რუსეთის და საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ის ლამაზი ფრაზები ამ ომის მიზნების და მისი მაღალი იდეალების შესახებ, ყველა ეს ფრაზები ისეთი ზავის შესახებ, რომელიც დამყარებულია ხალხთა თვით გამორკვევის უფლებებზე, არის მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი ფუჭი სიტყვები. კაპიტალისტურ მთავრობებს და მათ დიპლომატებს არ ძალუძთ დაამყარონ ხალხთა შორის მტკიცე ზავი. ჩვენ ეს ვიცით. ერთად ერთი შესაძლებელი და მტკიცე ზავი—ეს ის ზავია, რომელიც გამოაცხადეს ლენინის და ტროცკის პირით ბოლშევიკებმა, როდესაც მათ დააარსეს საბჭოთა მთავრობა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მთელი ქვეყნის ხალხების დიდი უმრავლესობის ერთსულოვანი გარდაწყვეტილება, და მე ძლიერ მიხარია, რომ შემიძლია განვაცხადო— იაპონელი სოციალისტები ღრმათ არიან ამაში დარწმუნებულნი. მათ, რასაკვირველია, ძლიერ კარგათ იციან, თუ ვინ არის ნამდვილი რუსის ხალხი და მზათ არიან კიდეც მათ განკარგულებაში არსებული ყოველივე საშუალებებით დაეხმარონ რუსეთის ხალხს.

სენ. კატაიამა.

ჟურნალი: „კომუნისტ. ინტერნაციონალი" № 9.

## ადგილობრივი პრესა.

გაზ. „ერთობა" განაგრძობს „საქართველოსთან" კამათს, საიდანაც ჩვენ ცოტა რამ საგულისხმიეროს ვტყობილობთ:

„საქართველო" ამ დღეებში გააფთრებული დაეტაკა მომარაგების სამინისტროს და მინისტრი ერაძის გადადგომა მოითხოვა. მიზეზი „საქართველოს" საერთო უკმაყოფილებისა ჩვენ ვიცოდით და ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს, მარა მისი ასეთი უეცარი აპილპილება მაინც არ იყო ისე ნათელი. გუშინდელ ნომერში გაზეთმა „ნაციონალისტმა" ცოტათი ასწია ბნელი ფარდა და გავიგეთ, რომ ასეთივე კომპანიას აწარმოებდა „საქართველო" მომარაგების სამართველოს წინააღმდეგ ბ. ქარცივაძის დროს და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ქარცივაძის გადადგომას მოყვა ბერიძის „კოსმოსთან" კომბინაცია. დღესაც ალბათ იმიტომ უნდათ ერაძის მაგიერ სხვა მინისტრის დაყენება, რომ რაიმე ახალი კომბინაციის ხელშეკრულება აქვთ მზათ ჯიბეში".

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, დიდათ საინტერესოა. აქედან ვტყობილობთ, რომ დემოკრატიულ საქართველოში მინისტრების დაყენება გადაყენებაზე დიდ გავლენას ახდენს „საქართველოს" ჯგუფი და თავის საქმეებს ჩინებულად აჭახრაკებს. მარა საკვირველია ის, რომ ამ ბნელი საქმეების გამომზეურებას „ერთობა" ახდენს არა თითონ და მისი საკუთარი წყაროების მიხედვით, არამედ „ნაციონალისტიდან" ნასესხები ცნობებით. ის ასე ადასტურებს „ნაციონალისტის" მიერ აღნიშნულ ფაქტების სინამდვილეს.

„ვეშაპელმა ხომ კარგათ იცის მისი ყოფილი ამხანაგების ყოველგვარი „კომბინაციები", ამიტომ ამ შემთხვევაში ის უეჭველია მართალს ამბობს და აი ამ ახალი „კომბინაციის" ხელშეკრულებას, რომელიც ჯიბეში მზად აქვთ", გაზ. „საქართველო" რესპუბლიკის ინტერესების სამოსელში ხვევს და მისი განადღებისათვის უკანა ფეხებზე შემდგარი დღიან ღამიანათ ჰყეფს. ან კი რა ჰქნას! ხომ გახსოვთ აკაკის ლექსი"...

და მოჰყავს აკაკის ცნობილი ლექსი დამახინჯებით. ეს ყველაფერი კარგი, მარა „ერთობამ" რატომ უნდა ილოს ცნობები „ნაციონალისტიდან"? ნუ თუ მინისტრების დაყენება-გადაყენების ნამდვილი სარჩული მან სხვა გაზეთებზე ნაკლებათ უნდა იცოდეს? გარდა ამისა, რაკი ამ ფაქტებს ადგილი ქონია, რატომ ახლა მაინც არ შეგვატყობინებენ ყველაფერს დაწვრილებით შესახებ ამ „ბნელი საქმეებისა" და იმ როლისა, რომელსაც აქ თამაშობდენ წასული და ახლათ დაყენებული მართველები მომარაგების სამინისტროსი?

ფრიად საინტერესოა ყველაფერი ეს, თუ რასაკვირველია წინასწარ შეთანხმებით პირში წყალი არ ჩაიგუბეს „ერთობა-საქართველომ" და თვით ბნელი საქმეების გამომჟღავნების მოთავე „ნაციონალისტმა". ვნახოთ ახლო მომავალში რას გვეტყვიან ისინი ახალს.

## ინტერნაციონალის გარშემო

### კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესი მოსკოვში.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ." № 56).

**მერვე სხდომა (30 ივლისს დილას),**

დილის სხდომაზე 30 ივლისს დათავებულ იქნა კამათი საკითხზე კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობების შესახებ, გამოდიოდენ: რაკოვსკი, სერატი, ლენინი, ლევი, ჰუმბერტ დროზი, დაუმინი, კოტა დოლსტრები, სტეკერი, ირგერსონი და ფრიზი.

**ამხ. რაკოვსკი.**

თავის სიტყვის დასაწყისში დიტმანის ახსნას იმ როლის შესახებ, რომელსაც თამაშობდა დამოუკიდებელი პარტია, რომლის წევრები ჰააზე და კაუცკი მთავრობაში იყვენ, მაშინ, რუსეთის საელჩოს გერმანიიდან გაძევების დროს 1918 წ. ნოემბერში. დამოუკიდებლები ხსნიან თავის ყოფაქცევას მით, რომ ისინი იყვენ უმცირესობაში (სამი სამის წინააღმდეგ). მაგრამ ამ კითხვის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს იმაში, რომ დამოუკიდებლები თანამშრომლობდენ მაშინ შეიდემანთან, მაგრამ დიტმანის სიტყვიდან კონგრესზე ცხადი ხდება: მათ შეგნებული არ ქონდათ, რომ ამ თანამშრომლობით ცემდენ მუშათა კლასს.

მათ წინაშე იყო არჩევანი: ან კავშირი საბჭოთა რუსეთთან, ან კავშირი ანტანტასთან. მათ ამოირჩიეს უკანასკნელი და ხსნიდენ ამას გერმანიის იმ მომენტში მძიმე მდგომარეობით, მაგრამ იმედი ანტანტის დიდი ღრმა შეცდომა იყო,—რომ მიეცათ პური გერმანიის

ხალხისათვის, მათ უნდა აელოთ ძალაუფლება თავიანთ ხელში.

კრიტიკულ მომენტში ბურჟუაზია ყოველთვის თხოვს მუშებს დახმარებას, მაგრამ მუშებს მტკიცეთ უნდა ახსოვდეთ, რომ სწორეთ ამ მომენტში უნდა ურტყამდენ ისინი ბურჟუაზიას. გადამწყვეტ მომენტში დამოუკიდებლებმა რევოლიუციას ანტანტის იმპერიალიზმი ამჯობინეს, იმათ კი არ გადაარჩინეს გერმანია, არამედ თავისი ტაქტიკით დააძინეს მუშათა კლასი. ვერსალის ზავის პასუხისმგებლობა აწვება მათ ისევე, როგორც უმრავლესობის სოციალისტებს.

შემდეგ, გადადის რა კაშენის და ფროსარის დეკლარაციის განხილვაზე, რომელიც წაკითხულ იქნა კონგრესის სხდომაზე წინადღით, ამხ. რაკოვსკი აღნიშნავს, რომ ის ნაბიჯია უკან შედარებით მათ წინანდელ განცხადებებთან, რომლებშიაც ისმოდა წარსული ცოდვების მონანიება. დეკლარაცია განირჩევა უკიდურეს თავდაჭერილობით და სიფხიზლით. წარსულში სრული სიჩუმით აქვს გვერდი არებული. ამხ. რაკოვსკის მოყავს დეკლარაციის მთელი რიგი ადგილები, რომელიც გვაჩვენებს იმას, რომ იქ დატოვებულა გასაძრომი ხვრელი ახალი გამცემლობისათვის. ეს დეკლარაცია გამოხატავს სავსებით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ოპორტუნისტულ თვისებას. არ არის საკმარისი პროგრამის გადასინჯვით დაკმაყოფილება. აუცილებელია ტაქტიკის და ბრძოლის მეთოდის შეცვლა.

**ამხ. სერრატი**

ფიქრობს, რომ დისკუსია საკითხზე კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების შესახებ უნდა წარმოებდეს იმ ძირითად საკითხების გარჩევის შემდეგ, რომლებიც განხილულ უნდა იქნას ამ ყრილობაზე, და მაშინ ნათელი გახდება უცბათ, თუ რომელ პარტიებს შეუძლიან ჰპოვონ ადგილი მესამე ინტერნაციონალში. წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალის ყრილობისა, ამ ყრილობის მონაწილენი მეტად ნაკლებათ იცნობენ ერთი მეორეს, და განსაკუთრებით ცუდათ არიან გაცნობილი საქმეთა მდგომარეობას თითეულ ქვეყანაში. ჩვენ მოვედით აქ იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ და ავნუსხოთ მსოფლიო რევოლიუციის ძალები,

ჩვენ უნდა მივიღოთ მესამე ინტერნაციონალში ყველა ის პარტიები, რომლებიც მზად არიან მოახდინონ რევოლიუცია.

ჩვენი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს პოლიტიკური და სოციალური კონიუნქტურის შესწავლა ცალკე ქვეყნებში. საფრანგეთში მდგომარეობა არ არის რევოლიუციონური და ამით აიხსნება საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორ აზროვანი ქცევა. იტალიაში კი სიტუაცია გარკვევით რევოლიუციონურია. სოციალური რევოლიუციის ეკონომიური და პსიქოლოგიური წინასწარი პირობები სავსებით მომწიფდა. იტალიის სოციალისტურ პარტიისათვის აუცილებელია თავისი რიგების გაწმენდა ოპორტიუნისტულ ელემენტებისაგან, მაგრამ თვითონ მას უნდა მივანდოთ ხელსაყრელი მომენტის ამორჩევა გასაწმენდათ.

**ამხ. ლენინი**

ფიქრობს, რომ კრისპინის სიტყვა მეტის მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი იყო, რომელიც შეძლებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ დამოუკიდებელ პარტიის მდგომარეობის შესახებ. საერთოდ ეს იყო წმინდა კაუცკიანური სიტყვა. მან განაცხადა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის ახალი რამ. მართლაც მასზე ლაპარაკობდა მარქსი, მაგრამ მასზე არ ლაპარაკობდა მე-2 ინტერნაციონალი. შემთხვევითი არ არის ის, რომ ერფურტის პროგრამაში ლაპარაკია ძალა-უფლების დაპყრობაზე. ჩვენ უნდა გადავშალოთ პროლეტარიატის დიქტატურის ჭეშმარიტი ფორმულა. კრისპინი აფუჩეჩებდა საკითხს ბელადებისა და მასსების შესახებ. საქმით კი სწარმოებს ბრძოლა მუშათა არისტოკრატიასა და რევოლიუციონურ მუშათა მასსებს შორის, მუშათა არისტოკრატიის ბელადებსა და მუშათა მასსების ბელადებს შორის. კრისპინი აცხადებს, რომ ისინი გამოეთიშენ სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ ეს ქნეს მეტად გვიან, და ყველა ქვეყნებში მუშათა კლასი იმყოფება მუშათა არისოკრატიის უღლის ქვეშ; ამავე დროს სოციალური რევოლიუცია შეიძლება მოხდეს ამ ბელადების მიუხედავათ. დამოუკიდებლებს საბუთად მოჰყავთ გერმანიის მძიმე მდგომარეობა და ამით ამართლებენ თავიანთ ოპორტიუნიზმს, მაგრამ ეს კონტრ-რევოლიუციონური სიტყვებია. რუსეთის მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა არის მკაცრი ბრძოლა, რომელიც მოითხოვს მსხვერპლს. ამის შესახებ წინდაწინ უნდა გავაფრთხილოთ მუშათა კლასი. ვისაც ეშინია ამ მსხვერპლის, მას არ შეუძლია მოახდინოს რევოლიუცია. დამოუკიდებლები ზურგს აქცევენ ტერორს გახურებულ სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ბურჟუაზიას ეს ტერორი სისტემათ აქვს შემოღებული. კრისპინმა გვისაყვედურა ჩვენ წვრილ-ბურჟუაზიულობა იმიტომ, რომ წინადადებას ვიძლეოდით, პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის შემდეგ მაშინვე გადაეცეს ჩამორთმეული მიწების ნაწილი უმიწაწყლო გლეხობას, მაშინ, როდესაც დამოუკიდებლები მოითხოვენ „ჩამორთმეულ“ (არა კონფისკაცია ნაჩნარ) მიწების გადაცემას კოლექტიურათ დამუშავებისათვის. მაგრამ გლეხებმა ცვლილება რომ იგრძნონ, აუცილებელია მივსცეთ მათ მემამულეთა მიწების ნაწილი. დამოუკიდებლები გვიმტკიცებენ, რომ კაუცკის არავითარი გავლენა არ აქვს პარტიაზე, მაგრამ კრისპინის სიტყვამ დაგვანახა, რომ ის წმინდა წყლის კაუცკიანელია. არც სერრატია მართალი, როდესაც ამტკიცებს, რომ ტურატტი არავითარი გავლენით არ სარგებლობს იტალიის პარტიაში. იტალიელებმაც უნდა გასწმინდონ აგრეთვე თავიანთი რიგები. ჩვენ მოვითხოვთ ყოველ ნაციონალურ პარტიიდან კონგრესის მოწვევას, რათა გავაცნოთ ჩვენი რეზოლიუციები, და მაშინ ვნახავთ, თუ რას იტყვიან მუშათა მასები.

**ამხ. ლევი**

თავის სიტყვაში უარჰყოფს დიტმანის და კრისპინის მთელ რიგ მტკიცებებს. არ არის მართალი, წარმოვიდგინოთ საქმე ისე, რომ თვით ომის დაწყებისთანავე არსებობდა მთლიანი ოპოზიცია, რომლიდანაც მოეწყო გერმანიის დამოუკიდებელი პარტია. არ არის მართალი ის, რომ დამოუკიდებლები ომის დროს ანტი-მილიტარისტულ პროპაგანდას აწარმოებდენ. დოკუმენტებით ხელში ლევი ამტკიცებს, თუ როგორ არ შეეფერება სინამდვილეს დამოუკიდებლობის ახსნა-განმარტებები მათ ყოფა ქცევაზე გერმანიიდან რუსეთის საელჩოს გაძევების საკითხში, და აგრეთვე სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელის გერმანიის საბჭოთა ყრილობაზე ჩამოსვლის საკითხის გარჩევის დროს. კაუცკის შთაგონებით, დამოუკიდებლებმა წინადადებაზე რუსეთის დელეგაციის გამოგზავნის შესახებ უპასუხეს პირდაპირ წინააღმდეგი ხმის მიცემით.

თავიანთ ტაქტიკაში დამოკიდებლები ჩადიან იმავე შეცდომებს, რასაც მასსები, არ არიან რა მათი ბელადები.

შესანიშნავ ლეიპციგის პლატფორმა, რომელზედაც ეყრდნობიან დამოუკიდებლები, არაფერს არ ლაპარაკობს, ვინაიდან არსებითად ეს შედეგია კომპრომისისა, კაუცკის და შტრებელის დაუმიგთან გაერთიანების.

სწორეთ ლეიპციგში სთქვა უარი კრისპინმა რუსეთთან გაერთიანებაზე, ლაპარაკობდა რა, რომ უკანასკნელი გაკოტრების გზაზეა. ახლა კი დამოუკიდებლები ჩამოვიდენ მოსკოვში და ამბობენ მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

გერმანიის დამოუკიდებელი პარტიის წარმომადგენელი,

**ამხ. დაუმიგი**

ამბობს, რომ თუ კონგრესი დაადგება იმ გზას, საითკენაც მოუწოდებენ მას მემარცხენე კრიტიკები, მაშინ მესამე ინტერნაციონალი იქნება მხოლოდ პროპაგანდისტულ საზოგადოებათა ინტერნაციონალი; უკეთეს შემთხვევაში,—კომუნისტური სექტების და ჯგუფების. სრულიად ბუნებრივია ჰპოვოთ ისეთი მსხვილი პარტიის მოქმედებაში, როგორიც არის დამოუკიდებელი,—ამბობს შემდეგ ამხანაგი დაუმიგი,—ბევრია შეცდომები, მაგრამ საჭიროა სახეში მიღება იმისი, რომ პარტიის შიგნით განუწყვეტლივ წარმოებდა ბრძოლა დემოკრატიზმის პრინციპის მომხრეთა და იმ ელემენტებს შორის, რომლებიც დგანან დიქტატურის ნიადაგზე, რომ დამოუკიდებელი პარტია, როგორც სხვათა შორის ყველა პოლიტიკურ პარტიები გერმანიაში, იმყოფება რყევის სტადიაში და ჯერ კიდევ არ დაუთავებია თავის ჩამოყალიბების პროცესი. კამათში ბევრს აკრიტიკებდენ ლეიპციგის ყრილობის დადგენილებებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ის მაინც დიდი ნაბიჯი იყო მე-3 ინტერნაციონალისაკენ. ეს გზა იოლი არ არის გერმანიაში, სადაც პროლეტარიატის საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება კლერიკალების გავლენის ქვეშ, სადაც შეიდემანელებს ჯერ კიდევ მიჰყვება მუშათა მასსების ნაწილი სადაც გვიხდება მასსების კონსერვატორობის გადალახვა, რომლებიც პარლამენტარიზმის ნიადაგზე. არიან აღზრდილნი. მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა პარტიამ შეასრულა ყველა ამ წლების განმავლობაში დიდი სამუშაო არა მარტო ლეგალურ ნიადაგზე. შემდეგ ამხ. დაუმიგი ჩერდება გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე და ამბობს, რომ თუმცაღა მის დასაარსებლათ არჩეულ იქნა არა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ის მაინც აღიარებს, რომ მეტის მეტად აუცილებელი საჭირო იყო პარტიის არსებობა ნათელი პროგრამით და გარკვეული ამოცა-

---

ნ. ლენინი.

# მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში

„შეთანხმების“ სახელმწიფოების იმპერიალისტები ბლოკადის სალტეს ავლებენ რუსეთის ირგვლივ და ცდილობენ მოსპონ ის კაპიტალისტურ ქვეყნიერებისაგან, როგორც გადამდები სენის ბუდე. ეს ხალხი, რომლებიც იკვეხნიან და თავი მოაქვთ თავის დაწესებულებების „დემოკრატიზმით“, იმ ზომამდე დაბრმავებულნი არიან საბჭოთა რესპუბლიკისადმი მძულვარებით, რომ ვერც კი ამჩნევენ როგორ სასაცილოთ იხდიან თითონ თავს. და მართლაც: მოწინავე, უაღრესათ განათლებულ და „დემოკრატიულ“ ქვეყნებს, რომლებიც თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი არიან, და რომლების ხელშია განუყოფელი, უდაო სამხედრო ბატონობა მთელს დედამიწის ზურგზე,—აი ასეთს ქვეყნებს, როგორც ცეცხლის, ისე ეშინიათ იმ იდეური სენის, რომელიც მოდის დარბეულ, დამშეულ და, მათი რწმუნებით, ნახევრათ ველურ ქვეყნიდან! მარტო ეს წინააღმდეგობაც საკმარისია რომ ყველა ქვეყნების მშრომელთა მასსებს აეხილოსთ თვალი და გაუადვილოს ნიღაბის ჩამოგლეჯა პირმოთნე იმპერიალისტებ კლემანსო—ლოიდ-ჯორჯ ვილსონის და მათი მთავრობების სახიდან.

მაგრამ ჩვენ დახმარებას გვიწევს არა მარტო კაპიტალისტებით დაბრმავება საბჭოების სიძულვილით, არამედ მათი საურთიერთო ღრენაც, რომლის გამო ისინი ერთმანეთს ხრიკებს უწყობენ. მათ საურთიერთო დუმილის შეთქმულება მოაწყვეს ჩვენს წინააღმდეგ, რადგან ეშინიათ ყველაზე უფრო სწორ და მართალ ცნობების გავრცელების როგორც საერთოთ საბჭოთა რესპუბლიკის შესახებ, ისე განსაკუთრებით მის ოფიციალურ დოკუმენტებზე. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საფრანგეთის ბურჟუაზიის მთავარ ორგანომ, გაზ. „დროებამ“ (le Temps) დაბეჭდა ცნობა ქ. მოსკოვში მესამე ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

ამის გამო ჩვენ მოწიწებით მადლობას ვუძღვნით საფრანგეთის ბურჟუაზიის მთავარ ორგანოს, ამ ბელადს საფრანგეთის შოვინიზმისა და იმპერიალიზმისას ჩვენ მზათ ვარ გაზ. „დროებას“ მივართვათ ზეიმით სამადლობელი ადრესი იმის გამო, რომ ის ასე მარჯვეთ და ხერხიანად გვიწევს დახმარებას.

თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ეს ფულის ტომრის ორგანო, სავსებით ნათლად სჩანს იმიდან, თუ როგორი ფორმაში გაახვია მან თავისი ცნობა, რომელიც შედგენილია ჩვენგან მიღებულ რადიოთი. მას სურდა ვილსონისთვის შეჩხიკინება, მისი პწკენა: აი შეხედეთ, რა ხალხია ისინი, ვისთანაც თქვენ დასაშვებლად მიგაჩნიათ მოლაპარაკება! ბრძენი ფილოსოფოსები, რომლებიც ფულის ტომრის შეკვეთით სწერენ, ვერც კი ამჩნევენ, რომ მათ მიერ ვილსონის დაშინება ბალშევიკებით, მშრომელების თვალში ბალშევიკების რეკლამათ იქცევა. კიდევ ერთხელ ჩვენ მოწიწებით მადლობა საფრანგეთის მილიონერების ორგანოს!

მე-3 ინტერნაციონალის დაარსება მოხდა ისეთ პირობებში მსოფლიო ასპარეზზე, რომ არავითარ წვრილმან და საცოდავ ხრიკიანობას „შეთანხმების“ იმპერიალისტებისას, ან კაპიტალიზმის ლაქიებისას—როგორც შეიდემანები გერმანიაში, რენნერები—ავსტრიაში,—აღარ შეუძლია ხელი შეუშალოს მთელი ქვეყნიერების მუშათა კლასში მესამე ინტერნაციონალის ამბის და მისდამი თანაგრძნობის გავრცელებას. საამისო ხელსაყრელი პირობები წარმოშვა პროლეტარულ რევოლიუციამ, რომელიც ყველასთვის დასანახათ იზრდება არა თუ დღითი-დღე, თითოეულ წუთსაც კი. ეს პირობები შექმნა ს ა ბ ჭ ო თ ა მოძრაობამ მშრომელთა მასსებში, რომელიც უკვე იმ ზომათ გაძლიერდა, რომ, ჭეშმარიტათ, საერთაშორისო გახდა.

პირველ ინტერნაციონალმა (1864—1872 წ. წ.) საძირკველი ჩაუყარა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას მათ რევოლიუციონურ ვადამწყვეტ იერიშის შესამზადებლად კაპიტალის წინააღმდეგ

მეორე ინტერნაციონალი (1889—1914 წ. წ.) წარმოადგენდა პროლეტარულ მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ზრდა გაგანიერება-გაფართოვებაში გამოიხატა, ამასთანავე რევოლიუციონური მოძრაობა დროებით ძირს დაეშვა, დროებით გაძლიერდა ოპორტიუნიზმი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ეს ინტერნაციონალი სამარცხვინო, დამარცხებამდე მიიყვანა.

ფაქტიურათ მესამე ინტერნაციონალი დაარსდა 1918 წ., როცა მრავალწლობით ოპორტიუნიზმთან და სოციალშოვინიზმთან ბრძოლის პროცესმა, ნამეტურ ომის დროს, წარმოშვა მთელ რიგ ნაციებში კომუნისტური პარტიები. ფორმალურათ მესამე ინტერნაციონალი დაარსებულ იქმნა მის პირველ ყრილობაზე ქ. მოსკოვში, 1919 წლის მარტში. და მეტის მეტათ დამახასიათებელი თვისება ამ ინტერნაციონალის, მისი ნიშანდობლივი ისტორიული დანიშნულებაა — ცხოვრებაში გატარება მარქსიზმის ანდერძის და განხორციელება სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საუკუნოებრივ იდეალებისა,—აი ეს ნიშანდობლივი, დამახასიათებელი თვისება მესამე ინტერნაციონალის ერთბაშათ თავს იჩენს იმ მოვლენაში, რომ ახალი, მესამე „საერთაშორისო მუშათა საზოგადოება“ ამ ჟამათ, რამოდენიმეთ მაინც, უკვე სავსებით ნიშნავს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს. (уже теперь совпадаетъ с союзом сов. соц. республик).

პირველ იტერნაციონალმა საძირკველი ჩაუყარა პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის.

მეორე ინტერნაციონალის ეპოქამ ნიადაგი შეუმზადა ფართო, მასსიურ გავრცელებას მოძრაობისა მთელ რიგ ქვეყნებში.

მესამე ინტერნაციონალმა შეისისხლხორცა მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეობის ნაყოფი, ხოლო მოკვეთა და უკუ აგდო მისი ოპორტუნისტული, სოციალისტური, სოციალ-შოვინისტური, ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული სიბილწე (скверна) და შეუდგა განხორციელებას პროლეტარიატის დიქტატურისას.

საერთაშორისო კავშირი პარტიების, რომლებიც ხელმძღვანელობენ ქვეყნიერებაზე ურევოლიუციონერეს მოძრაობას, მოძრაობას პროლეტარიატისა კაპიტალის უღლის დასამხვრევათ, დღეს დამყარებულია უნახავ სიმტკიცის საფუძველზე: რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკა საერთაშორისო მაშტაბით ახორციელებენ ცხოვრებაში პროლეტარიატის დიქტატურას, მის გამარჯვებას კაპიტალიზმზე.

მესამე, კომინისტურ ინტერნაციონალის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მან შეუდგა ცხოვრებაში განხორციელებას მარქსის უდიადეს ლოზუნგს, იმ ლოზუნგს, რომელიც ჯამს უკეთებს მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის განვითარებას მთელი საუკუნის განმავლობაში, ლოზუნგს, რომელიც გამოიხატება ცნებაში: პროლეტარიატის დიქტატურა.

ეს გენიალური წინასწარი განსჭვრეტა ეს გენიალური თეორია სინამდვილეთ იქცევა.

ეს ლათინური სიტყვები ახლა გადათარგმნილია თანამედროვე ევროპის ყველა ხალხურ ენაზე—ეს ცოტაა: მთელი დედამიწის ენა-კილოკავებზე.

დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა. კაცობრიობა იგლეჯს და აგდებს მონობის უკანასკნელ ფორმას: კაპიტალისტურ ანუ დაქირავებულ მონობას.

თავისუფლდება რა მონობისაგან, კაცობრიობა პირველათ ეცნობა ნამდვილ თავისუფლებას.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ყველაზე უმალ პროლეტარიატის დიქტატურა განახორციელა და საბჭოთა რესპუბლიკა მოაწყო იმ ქვეყანამ, რომელიც ევროპის ქვეყნებში ყველაზე უფრო ჩამორჩენილათ ითვლება? თითქმის უეჭვოა, რომ სწორედ ამ შეუსაბამობამ რუსეთის ჩამორჩენილობასა მის „ნახტომთან“ დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმაში, ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე თავგადავლებით—საბჭოთა ანუ პროლეტარულ დემოკრატიაში, აი სწორეთ ეს წინააღმდეგობა იყო ერთერთი მიზეზი (იმ ოპორტუნისტულ ჩვეულებათა და ფილისტერულ ცრუ-მორწმუნეობათა გარდა, რომლებით შეპყრობილი იყვნენ და არიან სოციალიზმის უმეტესი ბელადები), რომელმაც განსაკუთრებით გააძნელა და დააგვიანა დასავლეთ ევროპაში საბჭოთა როლის შეგნება.

მთელ ქვეყნიერებაზე მუშების მასსებმა ალღო აუღეს საბჭოთა მნიშვნელობას და მიხვდენ, რომ ეს არის პროლეტარიატის ბრძოლის იარაღი და ფორმა პროლეტარიატის ბრძოლის იარაღი და ფორმა პროლეტარული სახელმწიფოსი. ოპორტუნიზმით გაფუჭებული „ბელადები“ კი ლოცულობდენ და ახლაც განაგრძობენ ლოცვას ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, რომელსაც ისინი უწოდებენ „საზოგადოთ დემოკრატიას“ (д-тия вообще.)

საკვირველია კი, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებამ გვაჩვენა უწინარეს ყოვლისა „წინააღმდეგობა“ რუსეთის ჩამორჩენილობისა და მის ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე თავგადავლებით „ნახტომს“ შუა? საკვირველი ის იქნებოდა, რომ დემოკრატიის ახალი ფორმის განხორციელება ისტორიას ეჩუქებია ჩვენთვის გარეშე მთელ რიგ წინააღმდეგობათა.

ყოველი მარქსისტი და ყოველი ადამიანიც კი, რომელიც გაცნობილია საზოგადოთ თანამედროვე მეცნიერებასთან, უეჭველათ უარყოფით პასუხს მისცემს შემდეგი კითხვა რომ დაუსვან: დასაჯერებელი და მოსალოდნელია თუ არა თანასწორი თანდათანობით და გარმონიულ პროპორციონალურად გადასვლა სხვა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის დიქტატურაში? კაპიტალისტურ ქვეყნიერებაში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო არც თანანასწორზომიანობა, არც გარმონიულობა და არც პროპორციონალობა.

როდესაც საფრანგეთი თავის დიდ ბურჟუაზიულ რევოლიუციის პროცესში, იყო გაბმული და მთელ ევროპის ხმელეთს აღვიძებდა ახალ ისტორიულ ცხოვრების დასაწყებათ, იმ დროს ინგლისი კონტრ-რევოლიუციის კოალიციის მოთავეთ გამოვიდა, თუმცა ის მაშინ საფრანგეთთან შედარებით კაპიტალისტურათ მეტის მეტათ განვითარებული იყო. და იმ დროინდელი მუშათა მოძრაობა ინგლისში გენიალური შორსმჭვრეტელობით ითვისებდა ბევრ რამეს მომავალ მარქსიზმის შინაარსიდან.

როცა ინგლისმა ქვეყნიერობას დაანახვა პირველი ფართო, ჭეშმარიტათ მასსიური, პოლიტიკურათ ჩამოყალიბებული, პროლეტარულ-რევოლიუციონური მოძრაობა, ე. წ. ჩარტიზმი—ამ დროს ევროპის ხმელეთზე ხდებოდა უმეტეს წილათ სუსტი ბურჟუაზიული რევოლიუციები, საფრანგეთში კი იფეთქა პირველ უდიდესმა სამოქალაქო ომმა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის. ბურჟუაზიამ სხვა და სხვა ნაციონალური რაზმები პროლეტარიატისა თითეულ ქვეყანაში დაამარცხა სათითაოდ და სხვა და სხვა გვარად.

ინგლისმა, ენგელსის სიტყვით, მოგვცა საუკეთესო მაგალითი ისეთი ქვეყნის, რომელშიაც ბურჟუაზიამ გაბურჟუებულ არისტოკრატიის გვერდით შექმნა უმეტესათ გაბურჟუებული ზედა სართული პროლეტარიატისა. მოწინავე კაპიტალი-

ნებით. ამ ჟამათ აუცილებელია გაერთიანება, ყოველ შემთხვევაში, გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ რაზმის მაინც. დაბოლოს ამხ. დაუმიგი გამოსთქვამს რწმენას, რომ შესძლებს მიმართოს პარტიის მოქმედება მე 3 ინტერნაციონალისაკენ, და აცხადებს, რომ ყოველი ვერსი, რომელიც აახლოვებს გერმანიის საზღვართან გმირულ წითელ არმიას, აახლოვებს აგრეთვე დამოუკიდებელ პარტიას მე-3 ინტერნაციონალთან და გერმანიის პროლეტარიატს—სოციალურ რევოლიუციასთან.

(შემდეგი იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

### რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

ბაქო, 20 სექტემბერი. გაზ. „კომუნისტის თანამშრომელს ავსტრიის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელმა ავსტრიის მდგომიარეობაზე შემდეგი უამბო:

„წინათ ვენა მეცნიერების და ხელოვნების დედაბუდეთ იყო იმ სახელმწიფოსთვის, რომლებიც 55 მილიონი მცხოვრები ითვლებოდა; ახლა კი იგი პატარა გერმანული ავსტრიის სატახტო ქალაქია. ავსტრო-უნგრეთის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, დაჟინებით ბოიკოტს უცხადებენ ავსტრიას. ვენის სამწუხარო მდგომიარეობა მით უფრო მწვავდება, რომ სულიერ ბოიკოტთან ერთათ მეზობლები ავსტრიას ნივთიერ ბოიკოტსაც უცხადებენ. უწინ ვენა გაბსბურგების მონარქიის ყველა პროვინციების ხარჯზე იკვებებოდა: ღვინოს და პურს უნგრეთი აწოდებდა, მარილს და ნავთს გალიცია; შაქარს, პურს და ნახშირს ჩეხია. ახლა არსაიდან ასეთი რამესი მიღება არ შეიძლება. ავსტრია ანტანტის მოწყალებით ცხოვრობს. საკმარისია ტრიესტში ვენისთვის ამერიკიდან მოტანილ პურს ერთი კვირა დაგვიანდეს და ვენა სიმშილის მსხვერპლი შეიქნება. ვენის მცხოვრებლები დღესაც ნახევრად მშიერი არიან: კვირაში 1260 გრამი (უდრის $3^1/_8$ გირ.) პური, რასაკვირველია, არ კმარა. ხალხი დამშრული კომბოსტოთი იკვებება; სხვა რამეს მხოლოთ ზოგი ბედნიერი ბავშისთვის თუ იშოვიან და ისიც ძალიან ცოტას. გარდაცვალებულთა რიცხვიდან 40 პროც. სიმშილით არის მკვდარი. 300,000 ავსტრიელი ბავშვი მეზობელ სახელმწიფოებშია თავშეფარებული. რაც შეეხება მოხუცებულებს, ისინი სწრაფათ იხოცებიან, საქველმოქმედო სახლები ცალიერდებიან. ყველაზე უფრო ქალაქის მცხოვრებლებია შეწუხებული. გლეხები თანდათან უწევენ სანოვაგეზე ფასებს და მდიდრდებიან. მსუქანი გლეხობა რევოლიუციონური მოძრაობისთვის შიმშილით ემუქრებიან მუშებს. ერთხელ მთავრობამ კიდეც განიზრახა სანოვაგის მოსაკრეფათ სოფელში ექსპედიციის გაგზავნა. მაგრამ, ვინაიდან მთავრობა გლეხობის ზედგავლენის ქვეშ არის და თანაც მას ეშინია სოფლის მცხოვრებთა შეიარაღებული წინაალმდეგობის, ექსპედიცია სანოვაგისთვის სოფლებში არ გაუგზავნიათ.

მუშათა კლასის მდგომარეობა ავსტრიაში ფრიად ტრაღიკულია. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა იხსნის ავსტრიის მუშებს სიმშილისგან და განადგურებისაგან, მხოლოდ გარედან დახმარება—ძლევამოსილ რუსეთის პროლეტარიატის—შესძლებს გადახაროს სასწორი ავსტრიაში მუშათა კლასის მხარეზე.

### ტრანსპორტის აღდგენა

**მოსკოვი,** 26 სექტ. აგვისტოს პირველ ნახევარში საბჭოთა რუსეთის რკ.-გზის 13 სახელოსნოში შეაკეთეს 6226 ორთქლმავალი და 17,733 ვაგონი.

### ქემალისტების გამარჯვება

**ბათუმი,** 30 სექტ. სარწმუნო ცნობების თანახმათ ქემალისტებმა სომხის ჯარები დაამარცხეს და ოლთისი აიღეს. განაგრძობენ შეტევას სოფ. პესკუსზე

### სვერდლოვის უნივერსიტეტში

**ბაქო,** 20 სექ. 12 სექტემბერს სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტიდან გამოუშვეს კურს გათავებული პროლეტარულ-კომუნისტური სტუდენტები.

### ვრანგელის დახმარება.

**რეველი,** 29 სექტ. ოსმალეთის ყუმბარების სამზადიებელი ქარხნები საფრანგეთმა აიღო და ამუშავებს ვრანგელისთვის.

### თეთრ პოლონელების ტერორი.

**პეტროგრადი,** 29 სექტ. მობრუნდენრა წითელ არმიელების მიერ დატოვებული ოლქებში, პოლონელებმა თავაშვებული თეთრი ტერორი შემოიღეს. პროფესიონალური კავშირი იშლება, მუშაკებს ატყვევებენ; ყოველგან ხდებოდება ებრაელთა დარბევა. მუშებს შეუბრალებლივ დევნიან.

### საფრანგეთის განზრახვები.

**პეტროგრადი,** 25 სექტ. ხმელთა-შუა ზღვაში მყოფ საფრანგეთის ფლოტმა ბრძანება მიიღო, რომ შავ ზღვაში გასამგზავრებლათ მოემზადოს. როგორც სჩანს, ფრანგებს ადესის აღება განუზრახავთ. საზღვარგარეთულ დიპლომატიურ წრეების ცნობით, საფრანგეთს განუზრახავს საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ ახალი ფრონტი შექმნას. სამხრეთ რუსეთში ჯარების გადასხმით საფრანგეთს სურს უშუალო დახმარება გაუწიოს ვრანგელს და მოსწყვიტოს რუსეთს პურით მდიდარი უკრაინა.

### გერმანიაში განიარაღებული წითელ არმიელების ბედი

**პეტერბურგი** 29 სექტ. გერმანიაში განიარაღებული რუსი ჯარის კაცები ყოველ გვარ საშინელებას განიცდიან. ვაჭრები და სპეკულიანტები ნატეხ პურის საფასურად უკანასკნელ ტანსაცმელს აძრობენ მათ. გერმანიის მთავრობა განზრახ ამშევს ჩვენს ჯარის კაცებს, რათა აიძულონ იგინი ვრანგელთან წავიდენ.

### გაფიცვები ფინლიანდიაში

**პეტერბურგი** 25 სექტ. ფინლიანდიის მუშათა მასიურმა ვაფიცვებმა მოიცო, გაფიცვებს უფრო პოლიტიკური ხასიათი აქვს.

### წითელი ტურინი

**პეტერბურგი** 28 სექტ. იტალიის მუშები ტურინში ფაბრიკების დაპყრობას განაგრძობენ. დაიპყრეს მეფ. 15 ბინა. ტურინში ჯარი და პოლიცია არ არის.

### პოლონეთთან მოლაპარაკება

**რიგა,** 28 სექტ. რუსეთ-უკრაინის დელეგაციამ პოლონეთის დელეგაციას პრელიმინალური ზავის პროექტი გარდასცა, რომელშიც აღიარებულია დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ბელორუსიის, ლიტვის და უკრაინის რესპუბლიკების; აღმოსავლეთ გალიციას უფლება ეძლევა თავისი ბედი თვით გადაწყვიტოს მთელი მცხოვრებთა დაკითხვით. აღიარებულია დამოუკიდებლობა პოლონეთის რესპუბლიკისა, როგორც ნახსენები იყო სრ. რ. ც. აღ. კ. განცხადებაში.

### ყველა საქმეზე.

**მოსკოვი,** 1 ოქტომბერი. პოლონეთის შემოტევის გაგრძელების გამო „პრავდა" სწერს: „მიუხედავათ ჩვენი საზავო წინადადებისა, პოლონეთის ლეგიონები ქალაქებს-ქალაქებზე იკავებენ. პანების ბრწყინვალე მოკავშირე, ბარონ ვრანგელი, ერთგულად ეხმარება შლიახტების ხიშტებს. ბარონის ლაშქარი კიდევ წინ მოიწევს, დაიკავეს მარიუპოლი. ყირიმის ბანდიტების დაუნდობელი თათი ისევ მოიწევა დონის ოლქისკეს, რომელიც ჩვენთვის სათბობ და სანათ მასალების საუნჯეს წარმოადგენს.

ახალი საშიშროების, საერთაშორისო ბურჟუაზიის ახალი შეთქმულების წინაშე სდგას საბჭოთა რესპუბლიკა. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა გამოიჩინონ მთელი თავისი ორგანიზაციული ძლიერება, ფოლადისებური ამტანობა და სიდინჯე. ჩვენ გვწამს, შლიახტობა და ვრანგელი დამარცხდებიან, როგორც არა ერთხელ დამარცხებულან, როგორც დამარცხდენ სხვა მათი წინაპარი გენერლები.

„რისი გაკეთებაც გსურს, ბარემ მალე გააკეთეო", ამბობს თქმულება. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავამარცხოთ პანები და ვრანგელი. ყველა საქმეზე. ყველა დაეხმარეთ ფრონტს!

იმპერიალისტურ ომის დროს ბურჟუაზია „ერობათა და ქალაქთა" კავშირებს აწყობდა, ჩვენ ჩვენი წითელ მებრძოლთ, რომლებიც ჩვენი მომავალის საკეთილდღეოთ იბრძვიან, უხვი დახმარება უნდა გავუწიოთ. დეე, ვაგრძნობინოთ ფრონტს, რომ ზურგი ბისი ზიარი გულით ითქვამს სულს. ფრონტი თავის მისიას შეასრულებს. რესპუბლიკის მტერნი შეიმუსრებიან!

სიტყვა ზურგს ეკუთვნის".

# უკანასკნელი ცნობები

2 სექტემბერი.

### სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსაჭეტის'' საველე შტაბისა.

### პოლონეთის ფრონტი

**მოსკოვი,** 2 ოქტ. ჩვენ სადგ. ბარანოვიჩი დავტოვეთ. პინსკის რაიონში მოწინაალმდეგის იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ.

**ნოგაჩევთან** ჩვენმა ნაწილებმა მტერი მდ. სლუჩის მარცხენი ნაპირზე გადარეკა.

### ყირიმის ფრონტი.

ალექსანდროვ-მარიუპოლის ფრონტზე

---

სტური ქვეყანა რამოდენიმე ასეულ წლებით ჩამორჩენილი აღმოჩნდა პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის მხრით. საფრანგეთმა თითქოს ძირამდის ამოსწურა პროლეტარიატის ძალები ორ გმირულ, მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობით განუზომელ, აჯანყებაში მუშათა კლასისა ბურჟუაზიის წინაალმდეგ—1848 და 1871 წ.წ. ამას შემდეგ გეგემონია (წინამძღოლობა) მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალში გადადის—მე-19 საუკუნის მე-70 წლებიდან,—გერმანიის ხელში, რომელიც ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილი იყო როგორც ინგლისზე, ისე საფრანგეთზე. და როცა გერმანიამ წინ გაუსწრო ეკონომიურათ ამ ორ ქვეყანას, ე. ი. მე-20 საუკუნის მეორე ათეულში, მაშინ კი გერმანიის საქვეყნოთ ცნობილ სამაგალითო მარქსისტულ მუშათა პარტიის მეთაურის როლში აღმოჩნდენ ერთი მუჭა აშკარა საძაგელი არამზადები, უბინძურესი, კაპიტალისტების მიერ შესყიდული, ნამუს წარეცხილი მაწანწალები, შეიდემან-ნოსკედან დავით-ლეგინამდე, ყველა ეს გულშემზარავი ჯალათები მუშებისა, მონარქიისა და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზე მიქირავებულნი.

მსოფლიო ისტორია შეუჩერებლათ და გადუხრელათ მიდის პროლეტარიატის დიქტატურისკენ, მაგრამ მიდის არა რბილი და გატკეპნილი, არა სადა, არა, ათარიგით სწორი გზით.

როცა კარლ კაუცკი ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, და არა ის რენეგატი მარქსიზმის, რომელიც იბრძვის შეიდემანებთან ერთობა-კავშირისათვის, იბრძვის ბურჟუაზიული დემოკრატიის სასარგებლოთ წინაალმდეგ საბჭოთა ანუ პროლეტარულ დემოკრატიისა. მან მე-20 საუკუნის დასაწყისში დასწერა სტატია: „სლავიანები და რევოლიუცია". ამ სტატიაში ის მოგვითხრობდა და არკვევდა იმ ისტორიულ პირობებს, რომლებიც აღნიშნავდენ საერთაშორისო და რევოლიუციონური მოძრაობის გეგემონიის სლავიანების ხელში გადასვლის შესაძლებლობას.

ასეც მოხდა. დროებით —თავისთავად ცხადია, მოკლე ხნით მხოლოდ,—გეგემონია რევოლიუციურ პროლეტარულ ინტერნაციონალში გადავიდა რუსების ხელში, როგორც ის იყო—მე-19 საუკ. სხვა და სხვა პერიოდებში—ჯერ ინგლისელების, შემდეგ ფრანგების და მერე ნემეცების ხელში.

მე არა ერთხელ მითქვამს: დაწინაურებულ ქვეყნებთან შედარებით რუსებისთვის ადვილი იყო დაწყება უდიდეს პროლეტარულ რევოლიუციის, მაგრამ მათთვის უფრო ძნელი იქნება მისი გაგრძელება და საბოლოო გამარჯვებით დაგვირგვინება სოციალისტური საზოგადოების სრული ორგანიზაციით.

ჩვენთვის ადვილი იყო დაწყება: 1) იმიტომ, რომ მე-20 საუკუნის ევროპისათვის არა ჩვეულებრივი პოლიტიკურ ჩამორჩენილობა მეფის მონარქიის იწვევდა არაჩვეულობრივ სიძლიერეს მასსების რევოლიუციონურ იერიშებისას. 2) რუსეთის ჩამორჩენილობამ თავისებურათ შეადუღა პროლეტარული რევოლიუცია ბურჟუაზიის წინაალმდეგ გლეხების რევოლიუციასთან პომეჩიკების წინაალმდეგ. ჩვენ ამით დავიწყეთ 1917 წლის ოქტომბერში, და ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით მაშინ ისე ადვილათ, რომ არ დაგვეწყო ამით. მარქსი ჯერ კიდევ 1856 წ. როცა პრუსიას ეხებოდა, მიუთითებდა თავისებურ შეერთებაზე პროლეტარული რევოლიუციისა გლეხების ომთან. ბალშევიკები 1905 წ. დასაწყისიდან მოკიდებული აყენებდენ და იცავდენ პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის იდეას. 3) 1905 წლის რევოლიუციამ ძლიერ დიდი ნაყოფი დასტოვა. მუშების და გლეხების მასსების პოლიტიკურათ გაწვრთნის საქმეში, გააცნო მათი ავანგარდი როგორც სოციალიზმის „უკანასკნელ სიტყვას" დასავლეთ ევროპაში, ისე მასსების რევოლიუციონურ მოქმედებას. ასეთი „გენერალური რეპეტიცია" რომ არ მოგვეხდინა 1905 წელში, შეუძლებელი იქნებოდა და 1917 წ. როგორც ბურჟუაზიული რევოლიუცია თებერვალში—ისე პროლეტირული ოქტომბერში.

4) რუსეთის გეოგრაფიულ პირობებმა შესაძლებელი გახადეს მისთვის უფრო დიდხანს გამკლავებოდა გაპიტალისტურ, დაწინაურებულ ქვეყნების გარეგნულ სიძლიერეს, ვინემ სხვა ქვეყნები. 5) თავისებური დამოკიდებულება პროლეტარიატისა გლეხობასთან აადვილებდა გადასვლას ბურჟუაზიული რევოლიუციიდან სოციალისტურზე, უადვილებდა ქალაქის პროლეტარიატს გავლენის მოხდენას სოფლის ნახევრად პროლეტარულ და მშრომელთა უღარიბეს წრეებზე. 6) გაფიცვებით ბრძოლის ხანგრძლივმა შკოლამ (გაწვრთნაა) და ევროპის მასსიურ მუშათა მოძრაობის გამოცდილებამ გაადვილა, ღრმა და სწრაფი მოზარდ მწვავე რევოლიუციონურ სიტუაციის ნიადაგზე, წარმოშობა ისეთი თავისებურ ფორმის პროლეტარულ რევოლიუციონურ ორგანიზაციისა, როგორც საბჭოებია.

აქ ყველა მიზეზები არ ჩამოგვითვლია, მარა ამით დავკმაყოფილდეთ ამ ამათ.

საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატია დაიბადა რუსეთში. პარიჟის კომუნის შემდეგ აქ გადადგმულ იქნა მეორე, მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობის ნაბიჯი.

პროლეტარულ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკა პირველი მტკიცე ფესვიანი სოციალისტური რესპუბლიკა აღმოჩნდა დედამიწაზე. მას აღარ შეუძლია გაქრობა, როგორც სახელმწიფოს ახალ ტიპს. ის უკვე განმარტოებული აღარ დგას.

სოციალისტური აღმშენებლობის მუშაობის გასატარებლათ, მის ბოლომდის მისაყვანათ, ჯერ კიდევ ბევრი და ბევრი რამ არის საჭირო. საბჭოთა რესპუბლიკებს იმ ქვეყნებისაც, რომლებიც უფრო კულტურული არიან და სადაც პროლეტარიატს მეტი მნიშვნელობა და გავლენა აქვთ, ყველა პირობები ხელს უწყობენ წინ გაუსწრონ რუსეთს, როცა ისინიც პროლეტარიატის დიქტატურის გზას დაადგებიან.

გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალი ახლა სულს ღაფავს და ცოცხლადვე იხრწნება. ფაქტიურათ ის საერთაშორისო ბურჟუაზიის მსახურის როლს თამაშობს. ის ნამდვილი ყვითელი ინტერნაციონალია. მისი უდიდესი იდეური წინამძღოლები, კაუცკის დაგვარათ, აქებენ და იდიდებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას და უწოდებენ მას „დემოკრატიას საზოგადოთ" ან და—რაც უფრო ყეყეჩურია და უხეში,—„წმინდა დემოკრატიას".

ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ თავისი დრო მოსჭამა, როგორც მოსჭამა მეორე ინტერნაციონალმაც, რომელიც ისტორიულად აუცილებელ, სასარგებლო მუშაობას ეწეოდა, როცა წესრიგში იდგა მუშათა მასსების მომზადება ამ ბურჟუაზიულ დემოკრატიის ჩარჩოებში.

თვით უაღრესად დემოკრატიული რესპუბლიკა არასოდეს არ ყოფილა და არც შეეძლო ყოფილიყო სხვა რამეთ, თუ არ მანქანათ კაპიტალის მიერ მშრომელთა დაჩაგვრა-დატუქსვისა, იარაღათ კაპიტალის პოლიტიკური ძალა-უფლებისა, დიქტატურათ ბურჟუაზიისა. დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკა პირდებოდა უმრავლესობას ძალა-უფლების მინიჭებას, საჯაროთ აცხადებდა მას, მაგრამ ვერასოდეს ვერ შესძლებდა მის განხორციელებას, სანამ არსებობდა კერძო საკუთრება ბინაზე და წარმოების დანარჩენ იარაღებზე.

„თავისუფლება" ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნამდვილათ იყო მხოლოდ თავისუფლება მდიდრებისათვის. პროლეტარებს და მაშვრალ გლეხებს შეეძლოთ და კიდეც უნდა გამოეყენებიათ ის თავის ძალების მოსამზადებლათ კაპიტალის დამხობისათვის, ბურჟუაზიულ დემოკრატიის დასაძლევათ (преодоление), მაგრამ ფაქტიურათ, კაპიტალიზმის არსებობასთან,—და ეს საზოგადო წესია,—მშრომელთა მასსების დემოკრატიით სარგებლობა არ შეეძლოთ.

პირველათ ისტორიაში საბჭოთა ანუ პროლეტარულ დემოკრატიამ შექმნა დემოკრატია მასსებისათვის, მაშვრალთათვის, მუშებისათვის და წვრილ გლეხებისათვის.

ქვეყანაზე ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასეთი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება მოსახლეობის უმრავლესობის, ამ უმრავლესობის ნამდვილი ბატონობა, როგორცაა საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ძალა-უფლება.

ის ახშობს „თავისუფლებ„ას ექსპლოატატორებისა და მათი დამქაშების, ის ართმევს მათ ყვლეფის „თავისუფლებას", „თავისუფლობას" სხვის შიმშილობაზე გამდიდრებისა, „თავისუფლებას" ბრძოლისა კაპიტალის მეუფების აღსადგენათ, „თავისუფლებას" სხვა ქვეყნების ბურჟუაზიასთან შეთანხმებისა თანამემამულე მუშების და გლეხების წინაალმდეგ.

დეე, კაუცკები გამოექომაგომ ასეთ თავისუფლებას—ასეთი მექომაგე მარქსიზმის რენეგატი, სოციალიზმის რენეგატი უნდა გახდეს.

მეორე ინტერნაციონალის იდეურ სარდლების, ისეთების, როგორც გილფერდინგი და კაუცკია, მარცხი და დაქვეითება ისე ნათლათ არ გამოხატულა, როგორც მათ სრულ უსუსურობით იმის გაგებაში თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ანუ პროლეტარულ დემოკრატიას, თუ რა დამოკიდებულებაშია ის პარიჟის კომუნასთან, თუ რა ისტორიული ადგილი უჭირავს მას, თუ რა აუცილებელია ის, როგორც ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა.

გაზეთ „თავისუფლება"-ს მე-74 ნომერში „დამოუკიდებელ" (იგულისხმე: მეშჩანურ, ფილისტერულ, წვრილბურჟუაზიულ) გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანოში, 11 თებერვალს 1919 წ. მოთავსებული მოწოდება: „გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატს".

ამ მოწოდებას ხელს აწერს პარტიის მთავარი გამგეობა და მთელი მათი ფრაქცია „ეროვნულ კრებაში," გერმანიის „უჩრედილკაში."

ეს მოწოდება ბრალს სდებს შეიდემანებს საბჭოების თავიდან მოშორების მისწრაფებაში და წინადადებას იძლევა—ხუმრობა არ გეგონოთ!—შეაუღლონ საბჭოები უჩრელდიკასთან, მაანიჭონ საბჭოებს განსაზღვრული სახელმწიფოებრივი უფლებები და მიუჩინონ კონსტიტუციაში რაიმე ადგილი.

მორიგება, შეერთება ბურჟუაზიის დიქტატურის პროლეტარიატის დიქტატურასთან!—რა უბრალო რამ არის! რა გენიალურ-ფილისტერული იდეაა!

სავალალოა მხოლოდ, რომ ამ იდეის განხორციელება უკვე ნაცადია რუსეთში კერენსკის დროს გაერთიანებულ მენშევიკების და სოციალისტ-რევოლიუციონერების მიერ, ამ წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატების მიერ, რომლებსაც თავი სოციალისტებათ მოაქვთ.

ვისაც ვერ გაუგია მარქსის კითხვის შემდეგ ის, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ყოველ გამწვავებულ მომენტში, ყოველ სერიოზიულ კლასთა შეხლა-შემოხლის დროს, შესაძლებელია ან ბურჟუაზიის დიქტატურა და ან დიქტატურა პროლეტარიატისა—მას არა გაუგია რა მარქსის არც ეკონომიურსა და არც პოლიტიკურ მოძღვრებაში.

მაგრამ, გენიალურ - ფილისტერული იდეა გილფერდინგის, კაუცკის და კამპანიის, ბურჟუაზიის დიქტატურის პროლეტარიატის დიქტატურასთან შეუღლებაზე, მოითხოვს ცალკე განხილვას, თუ კი ჩვენ გვსურს ძირამდის ამოწურვა იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ უაზრობა-შეუსაბამობის, რომლითაც კიდით-კიდემდე ავსილია ეს უშესანიშნავესი და საარაკოთ კომიკური მოწოდება. იძულებული ვართ ეს განხილვა მეორე სტატიამდის გადავდვათ.

მოსკოვი, 15 აპრილი, 1919 წ.

ბიბლიოთეკა

მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

**იტალიაში.**

**ბერლინი**, 28 სექ. სიცილიაში წითელი დროშებით გამოვიდა 50 ათასი გლეხი და მიწებზე თავისი უფლები განხორციელებას მოითხოვდენ.

**ბოლშევიკები მექსიკაში.**

**ბერლინი**, 27 სექ. მექსიკაში ბოლშევიკებმა იერიშით აიღეს ეროვნული სასახლე. მღელვარების ჩასაქრობათ ქალაქისაკენ ჯარებს აგზავნიან. მდგომარეობა ფრიად სერიოზულათ მიაჩნიათ.

**ლიტვის მთავრობის ევაკუაცია**

**პეტერბურგი**, 30 სექტ. ლიტვის მთავრობა კოვნოდან ვილნოში გადავიდა.

**უელსი პეტერბურგში**

**პეტერბურგი**, 30 სექ. საბჭოთა რუსეთის გასაცნობათ ჩამოვიდა ცნობილი ინგლისის მწერალი უელსი.

**იტალიის ამბების გამოძახილი**

**ბათუმი**, 3 სექტ. კონსტანტინოპოლის რეიდში მდგომ იტალიის დრედნოუტზე იტლიაში მუშათა მოძრაობის თანაგრძნობის ნიშნათ, წითელი დროშა აღმართეს. ამ ინციდენტმა შავრაზმელობაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ინგლის საფრანგეთის საზღვაო ნაწილების ჩარევის შემდეგ, აგრეთვე ძალის ხმარებისა და დამუქრების შემდეგ, დროშა ჩამოუშვეს. იტალიის რევოლიუციური მოძრაობის გართულებას კონსტანტინოპოლის ბირჟაზე იტალიის ვალიუტის ძლიერი დაცემა მოჰყვა. ლირის კურსის დაცემაც გრძელდება.

**ქემალისტებმა გემლიკი აიღეს**

**კონსტანტინოპოლი**, 15 სექტ. მწვავე შეტაკების შემდეგ ნაციონალისტებმა გემლიკი კვლავ აიღეს.

# საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის ფურცელი № 6

## მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას

თუ დღემდე ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა, დღეს აშკარა და უდავოა, რომ ბრძოლა სოციალიზმისათვის საერთაშორისო პროლეტარიატმა დაისვა დღიურ წესრიგში; პროლეტარიატმა მსოფლიო მასშტაბში დაიწყო ბრძოლა კაპიტალისტური წესწყობილების დასანგრევათ, მის მოსასპობათ და მის ნანგრევებზე ახალი სოციალისტური, კომუნისტური წყობილების შესაქმნელად. კაპიტალიზმის სიმაგრენი ბევრ ადგილებში დაეცა, ბევრში ქანაობენ და ეცემიან; სხვაგან მისი ბატონობას ფრთები ეკვეცება; ის სასიკვდილოთ განწირულია. კომუნისტური საზოგადოების სხივები უკვე მოევლინა მუშათა კლასს. კომმუნიზმი ხორცს ისხამს; მუშათა კლასი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის კომუნიზმისათვის. ამ ბრძოლაში მოწინავე რიგებზე დგას მუშათა ახალგაზრდობა. მუშათა ახალგაზრდობა არის მუშათა კლასის ყველაზე უფრო რევოლიუციონური ნაწილი. მუშათა ახალგაზრდობა თითქმის მიუძღვის მუშათა კლასის საერთო ბრძოლას. ახალგაზრდობა ასრულებს ყველა მძიმე სამუშაოებს. სადაც კაპიტალიზმის ბატონობა ჯერ არ დამხობილა, იქ ახალგაზრდობა პროპაგანდით, აგიტაციით, გაფიცვებით, გამოსვლებით, დემონსტრაციებით და იარაღით ხელში ებრძვის კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ რეაქციონურ მთავრობებს. სადაც კაპიტალისტური-ბურჟუაზიული მთავრობათა ბატონობა დაემხო, იქ ახალგაზრდობა იბრძვის ძველი საზოგადოების ნაშთების აღმოსაფხვრელად და პროლეტარიატის დიქტატურის გასამაგრებლად, განსამტკიცებლად და ამ გზით, პროლეტარიატის დიქტატურით სოციალიზმის განსახორციელებლად. პროლეტარულ სახელმწიფოებში მუშათა ახალგაზრდობა იარაღით ხელში ებრძვის იმპერიალისტურ რეაქციონურ ლაშქარს, რომელიც მოდის მუშათა კლასის ბატონობის დასამხობათ და მემამულე--კაპიტალისტ სპეკულიანტების წყობილების აღსადგენად. დიდი მსხვერპლი გააქვს მუშათა ახალგაზრდობას ამ ბრძოლაში. მუშათა ახალგაზრდობა ებრძვის ოპორტუნიზმს, მარქსიზმის გარყვნას. საქართველოს მუშურ გლეხური ახალგაზრდობა მუშებთან და გლეხებთან ერთად დიდხანია იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ის ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის წინაშე დიდი ამოცანებია დასმული. ის უნდა ებრძოლოს სოციალიზმის, მარქსიზმის გაყალბებას; მან უნდა აღადგინოს ნამდვილი მარქსიზმი. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა შეგნებულად უნდა იბრძოდეს კომუნიზმისათვის. ამისათვის ის უნდა მიდიოდეს თავის ორგანიზაციაში, მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში, სადაც ის მიიღებს საჭირო აღზრდა-განვითარებას და გამოვა მომზადებულ მებრძოლად სოციალისტურ რევოლიუციისათვის. ყოველი ახალგაზრდა მუშა და გლეხი, ქალი იქნება ის თუ ვაჟი უნდა მიისწრაფოდეს ახალგაზრდობის კომუნისტურ ორგანიზაციაში. ეს იქნება თავდები სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისა. მაშ წინ, ახალგაზრდა მუშებო და გლეხებო, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის დროშის ქვეშ!

## ჩვენ კავშირში

**თბილისი**

24 სექტემბერს შესდგა თბილისის კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა გაარჩია მრავალი საკითხები და გამოიმუშავა ახლობელ მუშაობის პროგრამა. სხდომაზე გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელ დროს თბილისის ორგანიზაციაში მუშაობა მიმდინარეობს არა სასურველად, რაც აიხსნება იმ მიზეზით, რომ საუკეთესო ამხანაგები, რომელნიც გაცნობილი იყვნენ ორგანიზაციას, ან გაძევებულნი არიან საქართველოდან ან ციხეში იმყოფებიან და ახალი ხელმძღვანელები ჯერ ვერ გაეცვნენ ორგანიზაციას. გარდა ამისა მრავალი ამხანაგები კავშირში მოკლე ყოფნის შემდეგ გადადიან პარტიაში, რაც ფრიად აფერხებს ორგანიზაციაში მუშაობის წესიერად მიმდინარეობას. ამ მოვლენათა ასაცილებლათ კომიტეტმა დაადგინა—1) მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები იმ ამხანაგების შესახებ, რომელთაც არ აქვთ შეგნებული კავშირის მნიშვნელობა, და რომელნიც ნება დაურთველად გადადიან პარტიაში, 2) დაჩქარებულ იქნეს სწავლის დამთავრება პროპაგანდისტთა კოლეგიაში, რათა შეუდგეს მეცადინობას მეორე ჯგუფი, 3). გაძლიერებულ იქნეს მუშაობა ქარხნებში.

დასასრულ კომიტეტმა აირჩია ბიურო სამ წევრისაგან, წარმომადგენელნი ახ. კომ. ცეტრალურ და თფილისის პარტიულ კომიტეტებში.

**თბილისის გუბერნია**

სამი ოთხი თვის წინად თბილისის გუბერნიაში რამდენიმე ორგანიზაცია არსებობდა, ისიც ხაშურის რაიონში ხაშური საზოგადოთ ჩვენი კავშირის აკვანია. პირველათ იქ მოწინავე ახალგაზრდა მუშებმა დაარსეს კომუნისტური კავშირი, და მას შენდეგ წარმოიშვა კომუნისტური მოძრაობა საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობაში.

თბილისის საგუბერნიო კომიტეტმა თავის დაარსებისთანავე დაისახა მიზნათ გუბერნიის ყველა კუთხეებში კავშირების დაარსება.

პირველ ხანში ამ მიზნის განხორციელებას ხელს უშლიდა აქტიურ მომუშავე ამხანაგების ნაკლებობა, მაგრამ თანდათანობით ორგანიზაციების დაარსებასთან მოიმატა ამ ამხანაგების რიცხვმა, რამაც გაადვილა მუშაობა. თუ დღეს თბილისის გუბერნიაში კომკავშირები არსებობენ თითქმის ყველა კუთხეებში, ეს გახლავთ შედეგი იმ მუშაობის, რომელსაც აწარმოებდენ პროვინციელი ამხანაგები. ყველას მოეხსენება, თუ რა ძნელია პროვინციაში მუშაობა—ერთი მხრით მას უშლის ხელს ადმინისტრაცია, მეორეს მხრით თვით ნასსის გულგრილობა და განუვითარებლობა. მოწინავე ამხანაგებმა სძლიეს ამ დაბრკოლებებს და დღეს თბილისის გუბერნიაში არსებობს 25 ორგანიზაციამდე, რომელთა წევრთა რიცხვი აღემატება 600 კაცს. ახლა მუშაობა გაადვილდა, რადგანაც არსებობენ რაიონული კომიტეტები, მაზრის კომიტატები, რომელნიც ხელმძღვანელობენ თავის კუთხეებს და, ამგვარად, არ ხდება აქტიურ ძალების დაფანტვა. თბილისის გუბერნიის დღევანდელი მდგომარეობა იმედს იძლევა, რომ მალე მთელი გუბერნია ფართოდ იქნება მოფენილი კომკავშირებით.

**სოხუმის ოლქი**

სოხუმის ოლქი საზოგადოთ განთქმულია თავის ბოლშევიკობით. არ ჩამორჩა მას სოხუმის ოლქის მშრომელი ახალგაზრდობაც. სოხუმის ოლქში ამჟამად შეკავშირებულია 500—550 მშრომელი ახალგაზრდა. სოხუმის ოლქი კომკავშირებისათვის წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს ამას ხელს უწყობენ კიდევ საქართველოს მენშევიკები, რომლებიც „ოკრაინული" პოლიტიკა არაფრით განსხვავდება ძველ თვითმპყრობელ „ოკრაინულ" პოლიტიკისაგან. თუმცა აქტიური და ინტელიგენტური ძალები ნაკლებათ არიან, კავშირი სწრაფად იზრდება, რადგანაც მასსა დარწმუნებულია, რომ მის ინტერესებს იცავს მარტო კომკავშირი.

სოხუმის საოლქო კომიტეტმა მიიღო ზომები, რათა შეაკავშიროს ყველა ის ამხანაგები, რომელნიც თანაუგრძნობენ ორგანიზაციას, მაგრამ დღესდღეობით მოწყვეტილი არიან მას.

## აღმოსავლეთის ახალგაზრდობის ყრილობის გარშემო.

ამა წლის 9 სექტემბერს, გაიხსნა აღმოსავლეთის ახალგაზრდობის ყრილობა, საღამოს 5 საათზე. ყრილობა გახსნა ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით, იმავე კომიტეტის წევრმა, ამხანაგმა შაცკინმა. მან ფართოთ გააშუქა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან აღმოსავლეთის ხალხები და კერძოთ ახალგაზრდობა, და დაუსურათა ყრილობა. მთელი რიგი ამოცანებისა, რომელიც უდგას წინ ახალგაზრდობის ყრილობას, და რომელიც უნდა გადაიჭრას მოკლე ხანში (ყრილობა სამ დღეში უნდა გათავებულიყო). ყრილობას დაესწრენ შემდეგი ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენლები: ოსმალეთიდან 30 წარმ., სპარსეთიდან 26 (სამხრეთ-სპარსეთის წარმომადგენლებმა ვერ მოასწრენ), საქართველოდან 20, სომხეთიდგან 13, თურქესტანიდგან 29, ბუხარიდან 7, დაღესტანიდან 5, ჩრდ.-კავკასიიდან 11, ყაზანიდან (татарская республика) 8. სხ. აღმოსავლეთის ქვეყნიდგან არავინ ყოფილა. სულ დაესწრენ 184 ამხანაგი. ამხანაგ შაცკინის მისალმების შემდეგ იქნა არჩეული პრეზიდიუმი, თითო ქვეყნიდან თითო წარმომადგენელი, თავმჯდომარეთ ერთ ხმათ იქნა არჩეული ამხანაგი შაცკინი, დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ინტერნაციონალიდან (ამხ. შაცკინი), 2) აღმოსავლეთის ახალგაზრდობის ამოცანები და 3) ცენტრალურ ორგანოს შექმნა (ვინაიდან ყველა ახალგაზრდობის წარმომადგენლები ესწრებოდენ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე, ახალგაზრდობის ყრილობამ გადასწყვიტა მეტი საკითხები არ გადაჭრილიყვეს ხსენებულ ყრილობაზე, რადგან ყველა საკითხები მოსმენილი ქონდათ იქ).

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. შაცკინის მოხსენებამ ახალგაზრდობის მოძრაობაზე მსოფლიოში, მოხსენების შემდეგ ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუცია (რეზოლიუცია იქნება მოთავსებული შემდეგ), მეორე დღეს ყრილობას მოუვიდა მილოცვის დეპეშა ამხანაგ ზინოვიევისგან, რომელშიაც ის სწუხდა, რომ ვერ ესწრება ყრილობას. შემდეგ გამოვიდა ამხანაგი პავლოვიჩი ცნობილი ეკონომისტი და აღმოსავლეთის საკითხების მცოდნე (აღმოსავლეთის მოქმედების და პროპაგანდის საბჭოს წევრი). ამხ. პავლოვიჩს შეხვდენ ხანგრძლივი ოვაციებით.

აღმოსავლეთის ახალგაზრდობის ამოცანების საკითხზე გააკეთა მოხსენება ამხ. ბრეტმანმა. საკითხი ძალიან სერიოზული იყო, ამიტომ გამოიწვია მცირე კამათი, რის შემდეგ იყო ერთხმათ მიღებული რეზოლიუცია. ამ საკითხის შემდეგ აირჩიეს „ახალგაზრდობის საბჭო აღმოსავლეთში" რომელშიაც შევიდა ორ-ორი წარმომადგენელი; თითო ქვეყნიდგან ამ საბჭომ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდა თითო წარმომადგენელი თითო ქვეყნიდან და სამი ამხ. არის დანიშნული ახალგაზრდობის ინტერნაციონალიდან. საბჭოს არჩევის შემდეგ გამოიმუშავეს „მანიფესტი, რომელიც იქნება გამოქვეყნებული.

## საზღვარ-გარეთ

**პოლონეთი.**

ლოძის ქალაქის გამგეობამ გახსნა საღამოის კურსები ახალგაზრდა მუშებისათვის. მეცადინეობის პირველ დღესავე მობრძანდა კსენძი, (პოლონელების მღვდელი) რომელმაც აიძულა მათ ლოცვისაკენ. სავალდებულო საგნათ შემოღებულ იყო სამღვთო სჯული. ახალგაზრდა მუშებმა მოითხოვეს, რომ მისცენ მათ საერთო სწავლა, და არა გაავსონ მათი თავები სხვა და სხვა სისულელით. ქალაქის გამგეობამ უპასუხა ახალგაზრდებს, რომ სალვთო სჯულის საშვალებით ისინი მიიღებენ საერთო განვითარებას. მიუხედავათ ქსენძების აგიტაციისა ახალგაზრდობამ დაადგინა: არ იარონ ამ კურსებზე და მოითხოვენ სკოლის ეკლესიისგან გამოყოფას, როგორც არის ეს საბჭოთა რუსეთში.

— —

რევოლიუციონური მოძრაობა ვარშავის მუშათა ახალგაზრდობაში ძლიერ იზრდება. შეკავშირებული მუშათა ახალგაზრდობა აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას, როგორც თავის კლასობრივ მტრების წინააღმდეგ, აგრეთვე ცრუ-სოციალისტების, მშრომელ დემოკრატიის ჯალათების, პილსუდსკების, დაშინსკების და სხვ. ამ ჯურის „სოციალისტების" წინააღმდეგ. სოციალისტურ ახალგაზრდობის კავშირი „მომავალი" იღებს აქტიურ მონაწილეობას იმ საგაფიცვო მოძრაობაში, რომელიც მოეფინა მთელ პოლონეთს.

**იტალია.**

იმ რევოლიუციონურ მოძრაობაში, რომელიც სწარმოებს დღეს იტალიაში მუშათა ახალგაზრდობა იღებს აქტიურ მონაწილეობას, და თვით პარტია დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტურ ახალგაზრდობას, რადგანაც მან ნათლად დაინახა, თუ როგორი თავგამოდებით და ენტუზიაზმით იბრძვის ახალგაზრდობა მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციის გამარჯვებისათვის. მუშათა ახალგაზრდობა დიდი აღფრთოვანებით შედის წითელ გვარდიაში, იცავს ქარხნებს, რკინის გზებს და სხვა დაწესებულებებს, რომელნიც დაიკავეს მუშებმა. იტალიის კომუნისტურ კავშირში შედის 50.000 დე ახალგაზრდა მუშა და გლეხი. სოციალისტური პარტია დიდ იმედს ამყარებს მათზე, და დარწმუნებულია, რომ საჭიროების დროს, როდესაც დადგება დრო ქუჩაზე იარაღით გამოსვლისა მთელ იტალიაში, ეს ახალგაზრდობა ითამაშებს გადამწყვეტ როლს ამ ბრძოლაში, რომელიც, ცხადია, დამთავრდება იტალიის რევოლიუციონურ დემოკრატიის სრულ გამარჯვებით.

**საფრანგეთი.**

სოციალისტურ ახალგაზრდობის შორის მოხდა დიდი განხეთქილება, იმ საკითხის შესახებ, თუ რომელ ინტერნაციონალს მიემხროს ახალგაზრდობა. მან ერთხელ უკვე მიმართა ახალგაზდობის კომუნისტურ ინტერნაციონალის ბიუროს, რათა მას მიეღო საფრანგეთის სოციალისტური ახალგაზრდობა ინტერნაციონალში, მაგრამ ინტერნაციონალმა უარით უპასუხა ამ თხოვნაზე და მოითხოვა საეჭვო ელემენტებისგან კავშირის გაწმენდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ინტერნაციონალმა შესაძლოთ სცნო „საფრანგეთის სოციალისტურ ახალგაზრდობის" ინტერნაციონალში მიღება.

ამ ნიადაგზე მოხთა განხეთქილება მესამე და მეორე ინტერნაციონალის მომხრეთა შორის. ამ მოკლე ხანში შესდგება სოციალისტურ ახალგაზრდობის კონგრესი, სადაც გადაწყდება ეს საკითხი. წინ და წინ შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობა გაიყოფება, და უმრავლესობა მიიღებს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალის პროგრამას.

**სომხეთი.**

დაშნაკელები განაგრძობენ კომუნისტების დევნას. ციხეებში აუტანელი მდგომარეობაა: ამხანაგები იხოცებიან შიმშილისაგან და განიცდიან დიდ გაჭირვებას. ამ დღეებში დააპატიმრეს სომხეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე და სომხეთის კომ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ხანჯიანი, ასრატიანი და შახგალდიანი. ყველა აღნიშნული ამხანაგები გასცა დაშნაკელთა ჟანდარმების ხელში კომ. კავშირის ყოფილმა წევრმა არშავანკ შიდალიანმა.

ამხანაგებო!

მოგვაწოდეთ ცნობები ჩვენი კავშირის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქცია სიამოვნებით მიიღებს თქვენგან მოწოდებულ ცნობებს.

**„ახალ.-კომ. ფურც." სარედაქციო კოლეგია.**

# განცხადებანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 9—81.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღიაა დილის 10—12 სათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალგაზრდობის საყურადღებოთ!

საქართველოს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ბიურო, მოთავსებულია ჰოდგორნის ქუჩაზე, გაუბუნიას სახლში, სადაც ხდება თანამოაზრეების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 9—1 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

**ქუთაისის კომიტეტი.**

**დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.**

სტამბა ეკონომია "დიდი ვანქის ქ. № 3